

გაეროს განვითარების პროგრამის
ფონდის „მტკვარი 2“ პროექტი

გლობალური

გარემოსდაცვითი



აზერბაიჯანის და საქართველოს ეკოლოგიურ საკითხებზე მომუშავე ლაბორატორიების მიერ
ISO-17025-ის აკრედიტაციის მიღებაზე მიმართული საგზაო რუკა და სატრენინგო გეგმა

2017 წლის ნოემბერი



Empowered lives.
Resilient nations.



მომზადებულია:	ვარშა გუნგოას მიერ – ექსპერტი ლაბორატორიის ხარისხის მართვის საკითხებში
ავტორები:	ვარშა გუნგოა ქალბატონი მატანატ ავაზოვას (აზერბაიჯანის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნაციონალური გარემოსდაცვითი მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე) და ქალბატონი მარინე არაბიძის (საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი) დახმარებით
მომზადდა:	გაეროს განვითარების პროგრამის გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის „მტკვარი 2“ პროექტისთვის
დაფინანსებულია:	გაეროს განვითარების პროგრამის გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ

შინაარსი

1.0 შესავალი	2
2.0 რატომ არის ISO 17025-ს აკრედიტაცია საჭირო?.....	4
3.0 ISO 17025-ის სტანდარტების სტრუქტურა და პროცესი.....	5
4.0 ISO17025-ს აკრედიტაციის მიღებაზე მიმართული პროცესის მოკლე შეჯამება.....	6
5.0 აზერბაიჯანის და საქართველოს ლაბორატორიების მიმართ არსებული მოთხოვნები.....	9
6.0 აზერბაიჯანის და საქართველოს ლაბორატორიებისთვის მომზადებული სატრენინგო გეგმის კომპონენტები.....	11
7.0 ტრენინგების გეგმა.....	13
7.1 პირველი ტრენინგი (2018 წლის 12-16 თებერვალი)	13
7.2 მეორე ტრენინგი (2018 წლის 12-16 მარტი).....	13

7.3 მესამე ტრენინგი (2018 წლის 16-20 აპრილი).....	14
8.0 საბოლოო ანგარიში.....	14

1.0 შესავალი

გაეროს განვითარების პროგრამის გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროექტი სახელად „ტრანსსასაზღვრო შეთანხმებული ნაბიჯების და ეროვნული გეგმების განხორციელების მეშვეობით მდინარე მტკვრის აუზში წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა (IWRM)“ შეიცავს შემდეგ ამოცანას: „მტკვრის აუზში არსებული წყლის რესურსების ინტეგრირება, სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში შეთანხმებული ნაბიჯების გადადგმის მეშვეობით, წყალი-ენერგია-ეკოსისტემის უსაფრთხოების ჯაჭვთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისთვის“. აღნიშნული პროექტი მოიცავს ხუთ კომპონენტს, რომელთა მეშვეობით აზერბაიჯანისა და საქართველოს მიერ ამ ამოცანის განხორციელებას უნდა შეეწყოს ხელი

პროექტის მეხუთე კომპონენტი მმართველობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს, რაც წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის (IWRM) მონიტორინგის, ინფორმაციის მართვის და მონაცემთა ანალიზის სისტემების გაძლიერებით უნდა მოხდეს. მეხუთე კომპონენტის ფარგლებში არსებული ქვეკომპონენტი 5.4 ითვალისწინებს მონაცემების და ინფორმაციის გაცვლის პროტოკოლების დანერგვას, რათა წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის მიმართულებით სწორი გადაწყვეტილებები იქნას მიღებული როგორც ნაციონალურ ის ტრანსსასაზღვრო დონეებზე.

მტკვრის აუზში წყლის რაოდენობის და ხარისხის მონიტორინგზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანო აზერბაიჯანში გარემოს მონიტორინგის დეპარტამენტი, ხოლო საქართველოში კი გარემოს ეროვნული სააგენტოა. მართალია ეს ორი უწყება წყლის რაოდენობასა და ხარისხზე დიდი ოდენობით მონაცემებს აწარმოებს, ერთი და იმავე პარამეტრთან დაკავშირებით მათ მიერ მომზადებული მონაცემების ერთმანეთთან შედარება რთულია ხოლმე, რადგან მათ მიერ ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზები ერთმანეთთან შეუთავსებელია. ამ ორ ლაბორატორიაში სხვადასხვაგვარი ლაბორატორიული ანალიტიკური მეთოდების გამოყენებას და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების არ არსებობას არასანდო და უზუსტო ლაბორატორიული შედეგების გამოწვევა შეუძლია, ამიტომ ISO/IEC 17025-ს სტანდარტების გამოყენების მიმართულებით ამ ორ ქვეყანაში არსებული გარემოსდაცვითი ლაბორატორიების შესაძლებლობების განვითარება მათი შედეგების ვალიდურობას და სიზუსტეს უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ზემოთხსენებული სტანდარტების გამოყენების შედეგად, ამ ორი უწყების ლაბორატორიული შედეგები ერთმანეთთან თავსებადი და შედარებადი გახდება. ეს მიზანი პროექტის დოკუმენტის 5.4-ე შედეგშია მითითებული. ამ შედეგის ფარგლებში ორივე ქვეყნისთვის ISO/IEC 17025-ს აკრედიტაციის მიხედვით სტანდარტული საოპერაციო პროცედურების განხორციელების შესახებ შესაძლებლობების განვითარების ეტაპობრივი გეგმა მომზადდება; გარდა ამისა, აღნიშნული შედეგი ნაციონალური ლაბორატორიების მიერ ISO 17025-ს აკრედიტაციის სერტიფიკატების მიღების პროცესს შეუწყობს ხელს.

2.0 რატომ არის ISO 17025-ს აკრედიტაცია საჭირო?

ISO 17025 ტესტირებების და კალიბრაციების განმახორციელებელი ლაბორატორიების მიერ გამოყენებულ მთავარ სტანდარტს წარმოადგენს. ლაბორატორიის აკრედიტაცია ლაბორატორიების აკრედიტაციის ორგანოს მიერ კალიბრაციის ან ტესტირების განმახორციელებელი ლაბორატორიის შეფასებას წარმოადგენს, რომლის მიზანს ამ კონკრეტული ლაბორატორიის მიერ ISO/IEC 17025-ს მოთხოვნების შესრულების შემოწმება წარმოადგენს.

ISO/IEC 17025:2005 ტესტების და/ან კალიბრაციების ჩატარების კომპეტენციასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს (მათ შორის ნიმუშების აღებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს) ადგენს. ISO/IEC 17025:2005 ყველა ლაბორატორიასთან მიმართებით შეიძლება იქნას გამოყენებული მათი თანამშრომელთა რაოდენობის ან მათ მიერ ჩატარებული ტესტების და/ან კალიბრაციების მასშტაბის მიუხედავად.

ISO 17025-ის გამოყენების შედეგად როგორც აზერბაიჯანის ისე საქართველოს ლაბორატორიები ისეთი ხარისხის სისტემის ამოქმედებას შეძლებენ, რომელიც მათ მიერ სანდო შედეგების სტაბილურად დადების უნარის გაუმჯობესებაზე იქნება მიმართული. რადგან ეს სტანდარტი კომპეტენციას ეხება, აკრედიტაცია უბრალოდ ამ კომპეტენციის დემონსტრირების ოფიციალურად აღიარებას წარმოადგენს. ორივე ლაბორატორიის მიერ აკრედიტაციის მიღების წინაპირობას ხარისხის მართვის დოკუმენტირებული სისტემის, გაწრთვნილი და კვალიფიციური პერსონალის და ჩამოყალიბებული სტანდარტული საოპერაციო პროცედურების ქონა წარმოადგენს.

ISO 17025-ს აკრედიტაციის მიღების შედეგად ორივე ლაბორატორიას ხარისხის მართვის მისაღები სისტემა და ტესტების ვალიდური შედეგების დადების უნარი და კომპეტენცია ექნებათ. ლაბორატორიები ტესტების საერთაშორისო სტანდარტების (ISO 17025) შესაბამისად ჩატარებას და სანდო და ზუსტი შედეგების დადებას შეძლებენ.

Laboratory Quality can be Defined as Accuracy, Reliability and Timeliness of Reported Testing and/or Calibration Results



ლაბორატორიის ხარისხი შეიძლება იქნას აღწერილი როგორც ტესტირების და/ან კალიბრაციის შედეგების სიზუსტე, სანდოობა და დროულობა

სანდო - ლაბორატორიის მიერ განხორციელებული სამუშაო (ოპერაციები) უნდა იყოს სანდო


ზუსტი - ტესტირების და/ან კალიბრაციის შედეგები უნდა იყოს ზუსტი

დროული - შედეგების წარმოდგენა დროულად უნდა ხდებოდეს

3.0 ISO 17025-ის სტანდარტების სტრუქტურა და პროცესი

ISO/IEC 17025 ორი ძირითადი განყოფილებისგან შედგება, ესენია: მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ტექნიკური მოთხოვნები. მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ძირითადად ლაბორატორიაში ხარისხის მართვის სისტემის ოპერირებას და მის ეფექტურობას ეხება. ტექნიკური მოთხოვნები პერსონალის, მეთოდოლოგიის, სატესტო/კალიბრაციის აღჭურვილობის და სატესტო მეთოდების კომპეტენციას ეხება.

მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები და ტექნიკური მოთხოვნები შესაბამისად 15 და 10 მუხლისგან შედგება. იხილეთ სურათი:



მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები: 4.1 ორგანიზება; 4.2 მართვის სისტემა; 4.3 დოკუმენტაციის კონტროლი; 4.4 მოთხოვნების, ტენდერების და კონტრაქტების მიმოხილვა; 4.5 ტესტებთან და კალიბრაციასთან დაკავშირებით ქვეკონტრაქტების გაფორმება; 4.6. სერვისების და (სახარჯი) მასალების შესყიდვა; 4.7 კლიენტის მომსახურება.

ტექნიკური მოთხოვნები: 5.1 ზოგადი მოთხოვნები; 5.2 პერსონალთან დაკავშირებული მოთხოვნები; 5.3 ლაბორატორიის სათავსოები/ეკოლოგიური პირობები; 5.4 ტესტირების და ვალიდაციის მეთოდები; 5.5 აღჭურვილობა; 5.6 გაზომვების მიკვლევადობა; 5.7 ნიმუშების აღება; 5.8 სატესტო ნიმუშების მანიპულირება; 5.9 ტესტის შედეგების ხარისხის უზრუნველყოფა


სურათი 1: ISO 17025-ს სტრუქტურა

4.0 ISO17025-ს აკრედიტაციის მიღებაზე მიმართული პროცესის მოკლე შეჯამება

ტრენინგის გეგმა, რომლის მიზანს ISO 17025-ს განსახორციელებლად აზერბაიჯანის გარემოზე მონიტორინგის დეპარტამენტის ლაბორატორიასა და საქართველოს

გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიისთვის შესაძლებლობების და პოტენციალის გაძლიერება წარმოადგენს, იმ პროცესებს დაეფუძნება, რომლებიც ISO 17025-ს მისაღებად არის საჭირო (იხილეთ ქვემოთ მოცემული სურათი).

ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ლაბორატორიის მიერ აკრედიტაციის მიღების გზაზე ზოგადად გასავლელ გზას აღწერს. პროცესი იწყება (i) ლაბორატორიის ხარისხის პოლიტიკით და ამოცანებით, რასაც მოჰყვება (ii) პერსონალის ტრენინგი (iii) ტესტირების პროცესების, სტანდარტული საოპერაციო პროცედურების და სამუშაო ინსტრუქციების ჩამოყალიბება და შემდეგ (iv) ტესტების შესახებ ჩანაწერების წარმოება, ტრენინგი, აუდიტი და ა.შ.



ხარისხის სახელმძღვანელო, განცხადება ხარისხის პოლიტიკის შესახებ

პროცესები (მაგალითად პერსონალის ტრენინგი)

ნიმუშების ტესტირება და აღჭურვილობის თანდათანობითვალიბრაცია

ტექნიკური მომსახურება, ტესტებისა და ტრენინგების შესახებ ჩანაწერები.

პოლიტიკა და ამოცანები; პროცესები და სტანდარტული პროცედურები; საფეხურებიანი საოპერაციო პროცედურები და სამუშაო ინსტრუქციები

საკონტროლო სიები, ფორმები, ჩანაწერები

სურათი 2: ISO17025-ს განხორციელებისთვის საჭირო პროცესები

ლაბორატორიის პოლიტიკაში ლაბორატორიის მიერ ISO/IEC 17025-ს განხორციელების განზრახულობის დოკუმენტურად ასახვა ხდება.

ხარისხის სახელმძღვანელო დოკუმენტების იერარქიაში მთავარ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი ლაბორატორიის მიერ ხარისხიანი მონაცემების მიღებისთვის გამოყენებულ მიდგომებს და მეთოდებს აღწერს. იგი ასევე მოიცავს პროგრამულ განაცხადს, რომელშიც ლაბორატორიის მიერ ISO/IEC 17025-ის მოთხოვნების შესრულების განზრახვაა მოცემული.

ზოგადი პროცედურის პროცესი აღწერს იმას თუ როგორ შეიძლება ხარისხთან დაკავშირებული სხვადასხვა მოთხოვნის შესრულება. მაგალითად, იგი აღწერს იმას თუ როგორ შეიძლება კონკრეტული დავალების შემსრულებელი პერსონალის კომპეტენციასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება.

სტანდარტული საოპერაციო პროცედურები ან ლაბორატორიის სამუშაო პროცედურები კონკრეტული დავალებების (მაგალითად ტესტირების) განხორციელების დეტალური ინსტრუქციებია.

დოკუმენტაციის შემუშავება და წარმოება დოკუმენტების კონტროლისა და მართვის პროცედურებია, რომლებიც მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. დოკუმენტებში შედის როგორც შიდა (მაგალითად სტანდარტული საოპერაციო პროცედურები, ხარისხის სახელმძღვანელოები, პროცედურების სახელმძღვანელო და სატრენინგო გეგმები) ისე გარე (მაგალითად რეგულაციები, სტანდარტები, ტესტირების მეთოდები და ინსტრუმენტების ოპერირების სახელმძღვანელოები) დოკუმენტები. საკონტროლო სიები, სამუშაო ფორმები და შაბლონები დოკუმენტაციის დამატებით მაგალითებს წარმოადგენენ, რომლებიც ხარისხიანი სამუშაოს ეფექტურად და თანმიმდევრულად განხორციელებას უწყობენ ხელს.

ტრენინგი ყველა ზემოთხსენებულ ასპექტზე იქნება მიმართული, რათა მოხდეს ორივე ლაბორატორიის მიერ ამ პროცესების განხორციელების კუთხით პოტენციალის გაძლიერება.

5.0 აზერბაიჯანის და საქართველოს ლაბორატორიების მიმართ არსებული მოთხოვნები

აზერბაიჯანის და საქართველოს ლაბორატორიებში შეფასებითი ვიზიტების შედეგად მომზადდება სატრენინგო გეგმა შესაძლებლობების განვითარების შესახებ, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ ეტაპებს მოიცავს. აღნიშნული ნაბიჯები ISO 17025-ის განხორციელების და ლაბორატორიების სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შემუშავების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენენ:

ეტაპი 1: ორგანიზაცია და ხარისხის და ISO17025-ის შესახებ ცნობიერება

- მოტივაციის ამამაღლებელი სამუშაო გარემოს შექმნა ISO 17025-ს განხორციელებისთვის
- ISO 17025-ის მნიშვნელობა და საერთაშორისო აღიარება ტესტირების კომპეტენციისთვის
- რატომ არის საჭირო ISO 17025 და მისი ბენეფიტები
- ISO 17025-ს განხორციელებისთვის საჭირო ორგანიზაციის სტრუქტურა და გუნდი

ეტაპი 2: ხარისხის პოლიტიკის და ამოცანების შემუშავება ორგანიზაციისთვის

- ხარისხის პოლიტიკის და ამოცანების შემუშავება
- ISO17025-ს მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ეტაპი 3: ნაკლოვანებების ანალიზი

- ISO 17025-ს მოთხოვნებთან არსებული სისტემის შესაბამისობის ხარისხის დადგენა
- ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის ცოდნა
- ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით პროცესების აღმწერი რუკის შემუშავება

ეტაპი 4: დოკუმენტაცია/პროცესის დიზაინი

- მთელი პროცესის დოკუმენტირება (ისე როგორც ეს ISO 17025-ს მართვის სისტემაშია მოთხოვნილი)

- ნიმუშების აღების, ტესტირებისა და ლაბორატორიული აღჭურვილობის გამოყენებისთვის სტანდარტული საოპერაციო პროცედურების/სამუშაო ინსტრუქციების შემუშავება
- ხარისხის სახელმძღვანელოს შემუშავება
- პროცედურების სახელმძღვანელოს შემუშავება
- ფორმატები/ოპერაციების კონტროლის გეგმა (ჩანაწერების წარმოების შაბლონები და საკონტროლო სიები)
- ხარისხთან დაკავშირებული გეგმები: ხარისხის უზრუნველყოფა/საკვალიფიკაციო ტესტირების გეგმა/ლაბორატორიების ერთმანეთთან შედარების გეგმა
- ტესტის შედეგების ანგარიშგება, გაურკვევლობის გაზომვა, Z მაჩვენებლის გამოთვლა და სხვა.

ეტაპი 5: დოკუმენტაცია/პროცესების განხორციელება

- პროცესის/დოკუმენტაციის (ISO 17025-ს მოთხოვნების შესაბამისად) მომზადების შესახებ ტრენინგები
- დეპარტამენტებისთვის/ინდივიდუალური თანამშრომლებისთვის ახალ პროცესებთან/დოკუმენტებთან დაკავშირებით დახმარების გაწევა
- ლაბორატორიების მიერ განხორციელებული სამუშაოს მონიტორინგის სისტემის დანერგვა.

ეტაპი 6: შიდა აუდიტი

- ორგანიზაციის შიდა აუდიტის ძლიერი სისტემის შექმნა
- შიდა აუდიტორთა ტრენინგების მომზადება
- ლაბორატორიის პერსონალისთვის ლაბორატორიის შიდა აუდიტის ჩატარებაში დახმარების გაწევა
- გაუმჯობესების მიღწევაზე მიმართული კორექციული და პრევენციული ნაბიჯების გადადგმა

ეტაპი 7: მართვის საკითხებთან დაკავშირებული სხდომა

- ფორმალური სისტემის შექმნა, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ კრიტიკულად მნიშვნელოვან ხარისხის ასპექტებს მიმოიხილავს ხოლმე
- ლაბორატორიის მართვის სისტემის მიმოხილვა მისი განგრძობითი ადეკვატურობის, შესაბამისობის და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით
- მართვის საკითხებთან დაკავშირებული სხდომები დოკუმენტირებული უნდა იყოს და ისინი ლაბორატორიის მართვის სისტემაში ცვლილებების მხრივ არსებული საჭიროებების დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს მიმართული; გარდა ამისა, ამ სხდომების მეშვეობით გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასება და სამოქმედო გეგმების მომზადება უნდა ხდებოდეს

ეტაპი 8: შეფასების წინა აუდიტი


- ოფიციალური წინასააკრედიტაციო აუდიტის ჩატარება ლაბორატორიაში ISO 17025-ს განხორციელების ეფექტურობის შესაფასებლად
- ISO 17025-ს სტანდარტის შესრულების ხარისხის შეფასება
- პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ თუ როგორ ჩატარდება საბოლოო სერტიფიცირების აუდიტი.

ეტაპი 9: მაკორექტირებელი და პრევენციული ნაბიჯები

- შეუსაბამობებთან დაკავშირებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა
- შეუსაბამობების გადალახვაზე მიმართული მაკორექტირებელი და პრევენციული ნაბიჯების გადადგმა.

6.0 აზერბაიჯანის და საქართველოს ლაბორატორიებისთვის მომზადებული სატრენინგო გეგმის კომპონენტები

სატრენინგო გეგმა ქვემოთ აღწერილი კომპონენტებისგან შედგება:



ნიმუშების აღება (ნიმუშების აღების გეგმა და ნიმუშების აღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია)

ნიმუშების მანიპულაცია (ნიმუშების იდენტიფიცირება და ნიმუშების დაცვა)

ტესტირება (ტესტების შედეგების ხარისხის მონიტორინგი)

ტესტების შესახებ ანგარიშები (ტესტების მდგომარეობა და შედეგები, გაურკვევლობის სავარაუდო ოდენობის გათვალისწინებით)

ჩანაწერების წარმოება (ჩანაწერების სისწორის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა)

შესაბამისობა სამუშაო პროცესის ყველა ეტაპზე

- ანალიზის მეთოდების და პროცედურების ვალიდაცია
- აღჭურვილობის კალიბრაცია, ტესტირება და ტექნიკური მომსახურება
- მასალის კვალიფიკაცია
- მიკვლევადობა
- სტანდარტის მოთხოვნების შეუსაბამო ტესტირების კონტროლი
- პერსონალის კვალიფიკაცია
- კონტროლირებული გარემოს პირობები
- გაწერილი პროცედურები

შესაბამისობა მთელი ლაბორატორიის მასშტაბით

დოკუმენტაციის კონტროლი, მაკორექტირებელი და პრევენციული ნაბიჯები, საჩივრების განხილვა, მომწოდებლის და ქვეკონტრაქტორის მართვა, ორგანიზაციის სტრუქტურა (რომელშიც არ არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებები), შიდა აუდიტები

სურათი 3: ტრენინგის კომპონენტები

7.0 ტრენინგების გეგმა

7.1 პირველი ტრენინგი (2018 წლის 12-16 თებერვალი)

ISO 17025-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ნიმუშების აღებასთან დაკავშირებული პროცედურები

ტრენინგების გრაფიკი:

აზერბაიჯანი 2018 წლის 12-16 თებერვალი

საქართველო 2018 წლის 15-16 თებერვალი

- ISO17025-ის შესახებ ინფორმირებულობის მხრივ არსებული სიტუაციის მიმოხილვა და სამუშაოს გარემოს მოტივირება ISO17025-ს განსახორციელებლად
- ISO17025-ს მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები
- ISO17025-ს ტექნიკური მოთხოვნები
- ტრენინგი ნიმუშების აღების პროცედურების, ნიმუშების მანიპულაციების, შენახვის და შენარჩუნების და ასევე სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შემუშავების შესახებ
- ნიმუშებთან დაკავშირებული ჩანაწერების შაბლონებისა და საკონტროლო სიების დიზაინი (ISO17025-ს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად)

7.2 მეორე ტრენინგი (2018 წლის 12-16 მარტი)

სტანდარტული საოპერაციო პროცედურები და ხარისხის უზრუნველყოფა

ტრენინგების გრაფიკი:

აზერბაიჯანი: 2018 წლის 12-14 მარტი

საქართველო: 2018 წლის 15-16 მარტი

- ტრენინგი ტესტირების მეთოდის და ტესტირებასთან დაკავშირებული სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შემუშავების შესახებ (თითოეული ლაბორატორიის სატესტო პარამეტრების მიხედვით)
- ტესტირების მეთოდების ვალიდაცია
- გაურკვევლობის გაზომვა
- ხარისხის უზრუნველყოფა (ტესტების ხარისხის უზრუნველყოფა, ხარისხის კონტროლი, საკვალიფიკაციო ტესტები, ლაბორატორიებს შორის შედარებები და ა.შ.)
- შაბლონების დიზაინი, რომელთა მეშვეობით ტესტების შედეგების აღრიცხვა და ტესტირების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება უნდა მოხდეს (ISO 17025-ს მოთხოვნების შესაბამისად)

7.3 მესამე ტრენინგი (2018 წლის 16-20 აპრილი)

შიდა აუდიტი და ISO 17025-ს აკრედიტაციის განხორციელების პროცესი

ტრენინგების გრაფიკი:

აზერბაიჯანი: 2018 წლის 16-18 აპრილი

საქართველო: 2018 წლის 19-20 აპრილი

- ტრენინგი შიდა აუდიტის შესახებ
- მაკორექტირებელი და პრევენციული ნაბიჯები შეუსაბამოების გადასალახად
- ISO 17025-ს პროცესი და მის განხორციელებაზე მიმართული ნაბიჯები
- ხარისხის სახელმძღვანელოს შემუშავება
- პროცედურების სახელმძღვანელოს შემუშავება

8.0 საბოლოო ანგარიში

საბოლოო ანგარიში, რომელშიც შეჯამებული იქნება შესაძლებლობების განვითარების გეგმის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგები და სამომავლოდ ორივე ლაბორატორიაში განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებული რეკომენდაციები, 2018 წლის მაისის ბოლოს იქნება წარმოდგენილი.